

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფიო ჩხენკელი

ინტრაკრანიალური სიმსივნეების ეპიდემიოლოგია,
კლინიკური და მორფოლოგიური დიაგნოსტიკა

დისერტაცია

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2017წ

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის
ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი თეიმურაზ ჯორბენაძე

სარჩევი

I შესავალი -----	3
1) პრობლემის აქტუალობა	
2) კვლევის მიზანი	
3) კვლევის მეცნიერული სიახლე	
4) ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება	
II ლიტერატურის მიმოხილვა -----	7
III კვლევის მასალა და მეთოდები -----	17
IV კვლევის შედეგები და მათი განსჯა -----	20
V დასკვნები -----	51
VI რეზიუმე -----	53
VII გამოქვეყნებული შრომები -----	58
VIII დანართი -----	74
IX ლიტერატურის საძიებელი -----	119

შესავალი

პრობლემის აქტუალობა

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მნიშვნელოვნად იმატა ავთვისებიანი სიმსივნეების რაოდენობამ, პროგნოზი მეტად დამაფიქრებელია. ონკოლოგიური ავადმყოფობები სიხშირით გაუსწრებს გულ-სისხლძარღვთა ავადმყოფობებს. მსოფლიოში ყოველწლიურად ვლინდება სიმსივნეებით დაავადების 14 მილიონამდე ახალი შემთხვევა, ხოლო საქართველოში 7000-მდე. აღნიშნული სტატისტიკა ისეთ პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა (მოსახლეობა 4,5მლნ), მეტად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს (რ. გაგუა 2015წ, ფ. თოდუა, 2016წ). ამასთანავე, მთელ მსოფლიოში აღინიშნება ცენტრალური ნერვული სისტემის სიმსივნეებით დაავადების მნიშვნელოვანი მატება, რაც მიუთითებს ამ პროცესის შეჩერების რეალური გზების გამონახვის აუცილებლობაზე. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული რეგიონების მიხედვით სამხარეო (გეოგრაფიული) პათოლოგიის თვალსაზრისით ეპიდემიოლოგიურ გამოკვლევებს (Bondy M.L et al, 2008, Розуменко В.Д, 2008).

სამედიცინო პრაქტიკაში კვლევის თანამედროვე მეთოდების (ულტრაბგერითი, კომპიუტერული, მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის) ფართო დანერგვამ არსებითი გარდატეხა მოახდინა ავადმყოფობებისა და პათოლოგიური პროცესების ადრეული ვერიფიკაციის საქმეში, რაც, ბუნებრივია, დროული და ოპტიმალური მკურნალობის საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადღეისოდ დღის წესრიგში დგას ცალკეული ორგანოების პათოლოგიების, უპირველესად სიმსივნეების, იმ მორფოლოგიური ექვივალენტების გამოვლენა, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავენ ექოგრაფიულ და ტომოგრაფიულ სურათს. შესაბამისად, ამ უკანასკნელთა შესაძლებლობების გამოკვლევა პროცესის მორფოლოგიური სუბსტრატის სავარაუდო ვარიანტის ამოცნობაში.

მორფოლოგიური ექვივალენტების ცოდნა, რომლებიც განსაზღვრავენ ექოგრაფიულ და ტომოგრაფიულ სურათს, მეტად მნიშვნელოვანია კლინიკისათვის, ვინაიდან, იგი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მკურნალობის ტაქტიკის შერჩევას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. გარდა ამისა, ზემოთაღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფობის პროგნოზის განსაზღვრისათვის, რაც თავის მხრივ, სათანადო სამკურნალო თუ პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების საფუძველს ქმნის. (Капустин В.В, 2005; Сидоренко В.В, 2009; Lamb P.M, et al, 2000).

ცენტრალური ნერვული სისტემის სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებებიდან გამომდინარე, მასში განვითარებული სიმსივნეები ბიოლოგიური „ქცევით“ განსხვავდება სხვა ორგანოებისა და ქსოვილების სიმსივნეებისგან. ინტრაკრანიალური სიმსივნეების კლინიკური გამოვლინებების მრავალფეროვნება განპირობებულია მათი ლოკალიზაციით თავის ტვინის ფუნქციურად მნიშვნელოვან სტრუქტურებთან მიმართებაში. შესაბამისად, დაავადების მიმდინარეობის სიმძიმე და პროგნოზი არაიშვიათად განსაზღვრულია არა იმდენად სიმსივნის უჯრედული ელემენტების დედიფერენციაციის ხარისხით, არამედ მისი ლოკალიზაციით თავის ტვინის შესაბამის ანატომიურ წარმონაქმნებში. მაგრამ თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ავთვისებიანი ვარიანტების არსებობისას სიცოცხლის ხანმოკლე ხანგრძლივობა მაინც დაკავშირებულია სიმსივნური ზრდის ბიოლოგიურ თავისებურებებთან. (Ю. А. Золуя, 2010).

კვლევის მიზანი

- 1) სამხარეო (გეოგრაფიული) პათოლოგიის თვალსაზრისით ინტრაკრანიული სიმსივნეების ჰისტოლოგიური ტიპების და სიმწიფის ხარისხის სიხშირის შესწავლა ავადმყოფთა სქესსა და ასაკთან მიმართებაში.
- 2) ინტრაკრანიული სიმსივნეების არსებობისას, კლინიკური და მორფოლოგიური დიაგნოზების შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით ოპერაციამდელი კლინიკური და ოპერაციული მასალის მორფოლოგიური გამოკვლევების შედეგების შედარება.

კვლევის მეცნიერული სიახლე

პირველად არის შესწავლილი საქართველოს რეგიონში პირველადი, რეციდივული და მეტასტაზური სიმსივნეების გავრცელების სიხშირე ჰისტოგენეზის, სიმწიფის ხარისხის მიხედვით ავადმყოფთა სქესთან და ასაკთან მიმართებაში. საყურადღებოა, რომ ინტრაკრანიალური სიმსივნეების საერთო პანორამაში მეორე ადგილზეა ავთვისებიანობის მეოთხე ხარისხის სიმსივნეები. აღნიშნული მიუთითებს ბუნებრივი და სოციალური ფონის გამოკვლევის აუცილებლობაზე ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

ინტრაკრანიალური სიმსივნეების არსებობისას პირველად იქნა შედარებული კლინიკური და მორფოლოგიური კვლევის შედეგები. შემთხვევათა 40,1 % – ში გამოვლინდა შეუსაბამო კლინიკურ და მორფოლოგიურ დიაგნოზებს (სიმსივნის ჰისტოლოგიური ტიპი, სიმწიფის ხარისხი) შორის. აღნიშნული, მკურნალობის ოპტიმალური ტაქტიკის შემუშავების მიზნით, მიუთითებს ავადმყოფთა ოპერაციამდელი გამოკვლევის კომპლექსში სტერეოტაქსიური ბიოფსიის ჩართვის აუცილებლობაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ინტრაკრანიული სიმსივნეების ეპიდემიოლოგია,
კლინიკური და მორფოლოგიური დიაგნოსტიკა

მთელ მსოფლიოში აღინიშნება ცენტრალური ნერვული სისტემის სიმსივნეებით დაავადების მნიშვნელოვანი მატება, რაც მიუთითებს ამ პროცესის შეჩერების რეალური გზების გამონახვის აუცილებლობაზე. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული რეგიონების მიხედვით, სამხარეო (გეოგრაფიული) პათოლოგიის თვალსაზრისით, ეპიდემიოლოგიურ გამოკვლევებს, რომელთა შედეგებმა უნდა განსაზღვროს სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა დროული დიაგნოსტიკისა და ეფექტური მკურნალობის ჩატარების მიზნით (Bondy M.L. et al., 2008; Розуменко В.Д., 2008; T.MermaniSvili, 2001. 2009). აღნიშნული ბუნებრივია, გულისხმობს ნეირონკოლოგიური სამსახურის აღჭურვას თანამედროვე სადიაგნოზო, სამკურნალო ტექნოლოგიებითა და მედიკამენტური საშუალებებით, მკურნალობის ყველა ეტაპის ეფექტური წარმართვისათვის.

ლიტერატურის მონაცემები თავის ტვინისა და გარსების სიმსივნეების სიხშირის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანია (Lanthos P.L. et al., 1996.1998; Pathology et Genetics, 1997; Zulch K.J. 1986). მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებში ოლიგოდენდროგლიომები მოზრდილებში თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების 9,4%-ს, ხოლო ბავშვებში 4,0%-ს შეადგენს. რუსეთში ხსენებული სიმსივნეები თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების 4 - 5%-ში აღინიშნება (Олюшин В.Е.,2005 Louis et al; 2007; Pathology, 2007). აშშ-ში პოპულაციური გამოკვლევებით დადგენილია ეპენდიომებითა და ლიმფომებით ავადობის მატება, ხოლო გლიობლასტომებით, ასტროციტომებითა და ოლიგოდენდროგლიომებით ავადობის დონე სტაბილურია; (Shwartzbaum J., et al., 2003). ეპიდემიოლოგიური გამოკვლევებით ნიდერლანდებში არ გამოვლინდა თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების მატების ტენდენცია, როგორც

მოზრდილებში, ისე ბავშვებში (Relling M.V./ et al., 1999). აღნიშნული პათოლოგია მეორე ადგილზეა სისხლმბადი ორგანოების და ლიმფოიდური ქსოვილის ავთვისებიანი სიმსივნეების შემდეგ. მოზრდილებში თავის ტვინის სიმსივნეებით ავადობა მატულობს ასაკთან ერთად და მაქსიმუმს აღწევს 75 წლის ასაკის ზემოთ. (B.И. Чисов и соавт., 2012). სქესის მიხედვით თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების სიხშირის შესწავლამ ცხადჰყო, რომ საქართველოში მალიგნიზირებული სიმსივნეები მამაკაცებში უფრო ხშირია, ვიდრე ქალებში. მამაკაცებში მალიგნიზირებული (37,1%) და არამალიგნიზირებული (62,9%) სიმსივნეების შეფარდება 1:1,7, ხოლო ქალებში 1:2,4 (29,3% და 70,7%) (თ.მერმანიშვილი, 2009). რუსეთსა და ყაზახეთში მამაკაცებში გაცილებით მაღალია გლიური სიმსივნეებით ავადობა (Лосев Ю.А.. 2003; Ковалев Г.И..Музлаев Г.Г., 2006; Дюсембеков Е.К.. 2008; Ишматов Р.Ф.. Мидленко А.И.. 2008)

თანამედროვე ეტაპზე სამედიცინო პრაქტიკაში კვლევის უახლესი მეთოდების დანერგვით, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ავადმყოფობათა ადრეული ვერიფიკაციის შესაძლებლობები. ამასთანავე, ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ საბოლოო დიაგნოზი არის მორფოლოგიური. შესაბამისად, სადღეისოდ დღის წესრიგში დგას პათოლოგიების, უპირველესად სიმსივნეების იმ მორფოლოგიური კომპონენტების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავენ ექოგრაფიული, ტომოგრაფიული და სხვ. გამოკვლევებით მიღებულ მონაცემებს და რომელთა ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მიზანმიმართული მკურნალობისათვის, არამედ რეციდივის შესაძლო განვითარების და პროგნოზის განსაზღვრისთვისაც. აღნიშნული პრობლემის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში შედარებით მწირი მონაცემებია (Капустин В.В, 2005; Сидоренко В.В, 2009; Трофимова А.В, 2010; Rakesh K. et al, 2000; Lamb P.M, et al, 2000).

გ.ა. სტაშუკი (2004) პათომორფოლოგიურად ვერიფიცირებული კლინიკური მასალის საფუძველზე აღნიშნავს მრ-ტომოგრაფიის გამოყენების შესაძლებლობას კუჭის კიბოს მაქსიმალურად სრული დახასიათებისათვის სიმსივნის ლოკალიზაციის და პისტოლოგიური

ტიპის გათვალისწინებით. ამასთანავე აღნიშნავს, რომ კუჭის კედლის გასქელება განპირობებულია, როგორც სიმსივნური ინფილტრაციით, ისე ჰიპერპლასტიური ცვლილებებით, კერძოდ ლორწოვან შრის შეშუპებითა და სკლეროზით. მრტ-ს განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც კუჭის კიბოს არსებობის დროს მკაფიო რენტგენოლოგიური მონაცემები ჰისტოლოგიურად არ დასტურდება. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიისა და პათომორფოლოგიური გამოკვლევების მონაცემების შედარებისას დადგენილია პირდაპირი კავშირი კუჭის კიბოს სტადიასა და ოპერაციამდელ გამოვლენას შორის. T1-2 კუჭის კიბოს დროს დიაგნოზის სიზუსტე შეადგენს 77 %-ს, T3 - ის დროს 87%-ს და T4 -ის დროს 88%-ს. ამასთანავე, მრტ-ის მონაცემებით, შეუძლებელია pT0-1 და pT2 ჰისტოლოგიური სტადიების გამიჯვნა. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს მორფოლოგიური კონტროლის აუცილებლობაზე.

Haagensen C.D (1977) მონაცემებით სარძევე ჯირკვლის კიბოს დროს კლინიკური სურათი დაბალი ხარისხით კორელირებს მორფოლოგიური კვლევის შედეგებთან და დიაგნოსტიკის სიზუსტე ფართო ფარგლებში მერყეობს. სიმსივნური ზრდის კლინიკური შეფასება საშუალებას იძლევა დიაგნოზის დასმისა შემთხვევათა 65%-ში (Goscin C.P., et al, 2001).

ს.ვ სერებრიაკოვა (2009) 200 ავადმყოფის გამოკვლევის საფუძველზე აღნიშნავს, რომ მრტ სარძევე ჯირკვლების წარმონაქმნების სხივური დიაგნოსტიკის კომპლექსში ოპერაციული მასალის მორფოლოგიური გამოკვლევის მონაცემების გათვალისწინებით, წარმოადგენს გამოკვლევის დამატებით მეთოდს.

ს.ბ ზაფიროვა (2006), რომელმაც შეიმუშავა ქირურგიული მკურნალობის ჩვენებები და გამოკვლევის ტაქტიკის ოპტიმალური ალგორითმი სარძევე ჯირკვლის კვანძოვანი დისპლაზიების ამოცნობის ცალკეული დიაგნოსტიკური მეთოდების ეფექტურობის ანალიზის საფუძველზე, აღნიშნავს, რომ ხსენებული პათოლოგიის დიფერენციალური დიაგნოსტიკა ხდება კლინიკური, ინვაზიური და

არაინვაზიური რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი, პათომორფოლოგიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს დიაგნოსტიკის სიზუსტეს შემთხვევათა 98%-99% პალპირებული წარმონაქმნების დროს და 88%-ში არაპალპირებული წარმონაქმნების არსებობისას.

რენტგენომამოგრაფია საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნას სარძევე ჯირკვლის სიმსივნეები შემთხვევათა მხოლოდ 80%-ში. ამასთანავე, ყოველთვის შესაძლებელი არ არის სიმსივნის ზომის განსაზღვრა, ხოლო შემთხვევათა 5-15%-ში არ ხერხდება კლინიკურად დაუდგენელი სარძევე ჯირკვლის კიბოს გავმოვლენა. ზოგიერთ შემთხვევაში არ ვლინდება პალპირებული სიმსივნეები (Bagley F.H., 2004; Julian T.B., 2001; Schelfout K. et al, 2004; Watson L., 2001).

სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების დროს „ოქროს სტანდარტს“ წარმოადგენს ჰისტო-პათოლოგიური დიაგნოზი. მრტ-სურათი ხასიათდება დინამიური კონტრასტულობის გაძლიერებით ავთვისებიანი სიმსივნეების დროს, მაგრამ სიმწიფის ხარისხის საბოლოო ვერიფიკაცია ხდება მორფოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე (Gulnar Shafqat et al., 2011; Kim SH, et al., 2008; Lamb PM., et al., 2000; Pritt B., et al., 2004).

ი.ვ. სმირნოვის (2004) მონაცემებით, თირკმლების ავადმყოფობით პაციენტების ოპტიმალური კტ-გამოკვლევა მოიცავს ოთხფაზიან სკანირებას ნატიურ, კორტიკო-მედულარულ, ნეფროგრაფიულ და ექსკრეტორულ ფაზებში. ამასთანავე რენტგენ-მორფოლოგიურმა შედარებამ გამოავლინა თირკმლის კიბოს კტ-ნიშნების ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის შედეგებთან კორელაციის მაღალი ხარისხი (კორელაციის კოეფიციენტი 0,7-1,0).

ვ.ვ. კაპუსტინმა (2005) შეისწავლა თირკმლის სხვადასხვა სიმსივნეების მაკრომორფოლოგია და გამოყო სიმსივნის ის კომპონენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ექოგრაფიულ და კომპიუტერულ-ტომოგრაფიულ სურათს. დადგენილია, რომ თირკმლების სიმსივნეების დროს ექოგრაფიული და კომპიუტერულ-ტომოგრაფიული სურათი რთულია, რაც განპირობებულია

მაკრომორფოლოგიურად არაერთგვაროვანი წარმონაქმნებით. ულტრაბგერითი გამოკვლევა შემთხვევათა უმრავლესობაში (84%) საშუალებას იძლევა განისაზღვროს სიმსივნის პარენქიმის ვარიანტი, რაც არ შეიძლება ითქვას სიმსივნის ფსევდოკაფსულისა და სიმსივნის სტრომის სარწმუნო ვიზუალიზაციის შესახებ. ნათელუჯრედოვანი კიბოსათვის ტიპურია ვასკულარიზაციის მაღალი ხარისხი (86,9%) დოპლეროგრაფიული გამოკვლევის დროს.

კტ და მრტ შედეგების შედარებამ ოპერაციული მასალის მორფოლოგიურ ანალიზთან ცხადყო, რომ თანამედროვე ყველაზე არაინვაზიური მეთოდებიც კი სარწმუნოებით ვერ იძლევიან პასუხს თავის ტვინის სიმსივნის ხასიათის შესახებ (Shibamoto Y. et al., 1992) Chaberbain MC., და თანაავტორები (1988) აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასტროციტომისათვის ტიპური კტ და მრტ სურათის არსებობისას ოპერაციული მასალის მორფოლოგიური გამოკვლევის შემდეგ გამოვლინდა მულტიფორმული გლიობლასტომა.

სადღეისოდ თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების გლიომით ავადმყოფების გამოკვლევაში საწყისს ეტაპს წარმოადგენს სტერეოტაქსიური ბიოფსია, რომლის შემდეგ შესაძლებელია დინამიური დაკვირვების გაგრძელება, სიმსივნის ამოკვეთა და რადიოთერაპიის ან ქიმიოთერაპიის ჩატარება (Алешин В.А., Карахан В.Б., 2005). Kelly P. - is (1993) მონაცემებით კტ და მრტ საფუძველზე ვერიფიცირებული თავის ტვინის ნივთიერების შეშუპება სტერეოტაქსიური ბიოფსიის შედეგების მიხედვით აღმოჩნდა სიმსივნური უჯრედებით ინფილტრირებული ზონა.

თანამედროვე ეტაპზე დადგენილია, თავის ტვინის ჰემისფეროების ასტროციტომებით ავადმყოფების გამოკვლევის ალგორითმში სტერეოტაქსიური ბიოფსიის ჩართვის აუცილებლობა, რომლის შედეგები დიდ დახმარებას უწევს ქირურგს მკურნალობის ტაქტიკის არჩევაში (ა.გ მელიქიანი და სხვ. 1992, Kondziolka D., et al., 1999). ამასთანავე სტერეოტაქსიური ბიოფსიის დროს გართულებები (სისხლდენა, ინფექცია, ნევროლოგიური მოშლილობების დამძიმება) აღინიშნება შემთხვევათა არა უმეტეს 3%-ში. ყველაზე შედეგიანია

სტერეოტაქსიური ბიოფისია კტ, მრტ გამოყენებით, რომლებიც ჯანსაღი ქსოვილების მინიმალური ტრავმატიზაციით დაზიანებული ქსოვილის ამოღების და მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის საშუალებას იძლევიან. ტექნიკა კტ-სტბ ოპერაციის რისკის მინიმუმამდე შემცირების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ავადმყოფთა მდგომარეობის შემსუბუქება სიმსივნური კისტის შიგთავისის ასპირაციის გზით. ზოგიერთი ავტორი სტბ და შემდგომ რადიოთერაპიას თვლის არჩევით მეთოდად ავთვისებიანი და დაბალი ხარისხის ასტროციტომების დროს (ა.გ. მელიქიანი და სხვ, 1992; Kondziolka D.. et al, 1999; Lunsford L.D.. et al, 1995).

რიტიკული თვალსაზრისით საინტერესოა NNikolato და თანაავტორების (1995) მონაცემები, რომლებიც საეჭვოდ თვლიან ჰისტოლოგიურად ვერიფიცირებული კეთილთვისებიანი ასტროციტომის კტ და სტბ-ით მკურნალობის მიზანშეწონილობას და გამოთქვამენ მოსაზრებას ალტერნატიული გზის ძიებისა.

მრტ- გამოკვლევა ექტურად გამოიყენება თავის ტვინის ღეროს სიმსივნეების ოპერაციამდელი დიაგნოსტიკის მიზნით, კერძოდ გრეიდის დადგენაში. ამასთანავე , დიფერენციაციის ხარისხის შესაფასებლად – ნეკროზების, მარგინალური ზონების, შეშუპების არსებობა, გადამწყვეტია მორფოლოგიური გამოკვლევა. (Ishtiaq A., Chishty et al., 2010).

თავის ტვინის დიზონტოგენური სიმსივნის – დისპერმინომის დიაგნოსტიკაში წამყვან როლს წარმოადგენს კტ და მრტ გამოკვლევები, რომლებიც საშუალებას იძლევიან დადგენილ იქნას წარმონაქმნის სიმსივნური ბუნება, ზომები, ტოპოგრაფია, მაგრამ საბოლოო დიაგნოზი შესაძლებელია დადგენილ იქნას სტერეოტაქსიური ბიოფსიით მიღებული მასალის გამოკვლევის საფუძველზე. ამასთანავე, სიმსივნის მნიშვნელოვანი არაერთგვაროვნების გამო ეს მეთოდი ყოველთვის სარწმუნო არ არის. ზუსტი მონაცემები მიიღება სიმსივნის ამოკვეთის შემდეგ სხვადასხვა უბნების დეტალური მორფოლოგიური გამოკვლევით.

მითუმეტეს, რომ ჰერმინომა დიფერენცირებული უნდა იქნას თავის ტვინის სხვა სიმსივნეებისაგან (ასტროციტომა, განგლიონევრომა, გლომუსური სიმსივნე, მედულობლასტომა; აბსცესისგან, ინტრაცერებრული ჰემატომისა და მესამე პარაკუჭის კოლოიდური კისტისგან (ო.ი რაზმოლოგოვა და სხვ. 2009).

პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად საინტერესო მონაცემები მიიღეს Veli Soderlund და თანაავტორებმა (2009). ოსტეოსარკომით 52 ავადმყოფის რადიოლოგიური გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ავტორებმა დაადგინეს, მაღალი დიფერენციაციის ოსტეოსარკომის დროს შემთხვევათა 2/3-ში არ არის საჭირო ბიოფსიის წარმოება, ვინაიდან აღნიშნული პათოლოგიას აქვს ტიპური რადიოლოგიური თვისებები.

ლ. მაჭარაშვილის (2006) მონაცემებით ტრანსთორაკალური ბიოფსია კომპიუტერული ტომოგრაფიის და ულტრაბერითი გამოკვლევის კონტროლის ქვეშ აუმჯობესებენ გულმკერდშიდა იშვიათი სიმსივნეების მორფოლოგიურ დიაგნოსტიკას და მკვეთრად ამცირებენ დიაგნოსტიკური თორაკოტომიის ჩატარების აუცილებლობას. თ. რუხაძე (2006) მიუთითებს სხივური დიაგნოსტიკის მაღალტექნოლოგიური მეთოდებით მცირე მენჯის ორგანოს გარეშე სიმსივნეების გამოკვლევით მიღებული შედეგების მორფოლოგიური კონტროლის აუცილებლობაზე.

ამრიგად, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ პათოლოგიური პროცესის, მდგომარეობების და ავადმყოფობების საბოლოო ვერიფიკაციისათვის შემთხვევათა უმრავლესობაში აუცილებელია მორფოლოგიური კონტროლი, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ავადმყოფების ეფექტურ მკურნალობას.

უკანასკნელ წლებში აქტიურად მიმდინარეობს გამოკვლევები თავის ტვინის განსაკუთრებული ჰეტეროგენურობით გამორჩეული სიმსივნეების ბიოლოგიის ფუნდამენტური და გამოყენებითი ასპექტების სფეროში. ბუნებრივია, რომ მორფოლოგიური დაიგანოსტიკის საკითხების გადასაწყვეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა სიმსივნეების კლასიფიკაციის შექმნას მორფოგენეზისა და მიკროსკოპული სტრუქტურის მიხედვით. (Ю. А. Золуя და თანაავტ., 2002, 2010).

საერთაშორისო კლასიფიკაციის თანახმად ცენტრალური ნერვიული სისტემის სიმსივნეების ბიოლოგიური „ქცევა“ განისაზღვრება ავთვისებიანობის ხარისხით – პირველიდან (კეთილთვისებიანი) მეოთხემდე (ავთვისებიანი). ავთვისებიანობის დაბალი ხარისხი აქვთ I-II ხარისხის სიმსივნეებს (Low grade), ხოლო მაღალი III-IV ხარისხის სიმსივნეებს (High grade). ამასთანავე სიმსივნეების კეთილთვისებიანი ბუნების მიუხედავად, ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, პროგნოზი შესაძლებელია არაკეთილსაიმედო იყოს (Burger P.C. et al., 1994; Nomura K. et al., 2000).

სამედიცინო პრაქტიკაში კვლევის იმუნოჰისტოქიმიური მეთოდების დანერგვამ, ბუნებრივია, გააფართოვა დიაგნოსტიკური შესაძლებლობები. ამასთანავე, წარმოიშვა მარკერების გამოვლენასთან დაკავშირებული საკითხები. კოქსპრესიის (აბერანტული ექსპრესიის) ფენომენები ართულევენ იმუნოჰისტოქიმიური გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაციას. სიმსივნეების ცალკეული მარკერების ერთობლიობა ვარიანტურია, რაც განპირობებს დიაგნოსტიკურ სირთულეებს. იმუნოჰისტოქიმიური გამოკვლევა თავის ტვინის სიმსივნეების დიაგნოსტიკაში განხილულ უნდა იქნას არა როგორც დამოუკიდებელი, არამედ როგორც დამატებითი მეთოდი (А.И Карселадзе, 2009; Н.П. Напалкова и др. 2009; Ю.М. Забродская и др. 2010). არაიშვიათად თავის ტვინის სიმსივნეების მორფოლოგიური დიაგნოსტიკის სირთულეები ძირითადად განპირობებულია ჰისტოლოგიური გამოკვლევისათვის მასალის არასაკმარის მოცულობით – სტერეოტაქსიური ბიოფსია.

ცენტრალური ნერვული სისტემის სიმსივნეების პროლიფერაციული აქტივობის განსაზღვრა მხოლოდ მიტოზების ფიგურების არსებობით საშუალებას იძლევა მიახლოებით ვიმსჯელოთ მათი ბიოლოგიური თვისების შესახებ. მნიშვნელოვანი საფუძველს მკურნალობის ტაქტიკისა და პროგნოზის განსაზღვრისათვის წარმოადგენს მოლეკულური მეთოდების სპექტრი. მათი მონაცემების სწორი შეფასებისათვის აუცილებელია კლინიცისტებისა და პათომორფოლოგების აქტიური თანამშრომლობა (Sidransky D et al., 1992; Nomura K. et al., 2000)

კვლევის მასალა და მეთოდები

გამოკვლეულია 5 წლის (2010-2014წწ) ოპერაციული მასალა – სულ 219 შემთხვევა. ყველა ავადმყოფს ჩაუტარდა ოპერაცია – სხვადასხვა ლოკალიზაციის ინტრაკრანიალური სიმსივნის ამოკვეთა. ოპერაციული მასალის დასაფიქსირებლად გამოყენებულია ნეიტრალური ფორმალინის 10%-იანი ხსნარი. ნაჭრები ყალიბდებოდა პარაფინში. როტაციულ მიკროტომზე მომზადებულ 5-6 მკმ სისქის ანათლებს ვღებავდით ჰემატოქსილინით, ეოზინით და პიკროფუქსინით (ვან-გიზონის წესი). საჭიროების შემთხვევაში ვიყენებდით კვლევის იმუნოჰისტოქიმიურ მეთოდს.

იმუნოჰისტოქიმიური გამოკვლევის ოქმი

1. პარაფინიანი ანათლები თერმოსტატში 37° C ტემპერატურაზე მთელი დამე, მეორე დღეს 60° C-ზე ერთი საათი.
2. დეპარაფინიზაცია – ქსილოლი 2x5 წთ., აბსოლუტური სპირტი 2x3 წთ., გამოხდილი წყალი 3x2 წთ.
3. 98° C წყლის აბაზანაში, კოპლინაში ჩასხმული ციტრატული ბუფერით (pH 6.0) 20 წუთი. გამრეცხი ბუფერი 3x2წთ.
4. სასაგნე მინებზე წყალბადის ზეჟანგის ხსნარის დაწვეთება და ნოტიო კამერაში მოთავსება 10 წუთით. გამრეცხი ბუფერი – 3x2 წთ.
5. მბლოკირებელი რეაგენტი – ინკუბაცია 5 წთ. გამრეცხი ბუფერი 3x2 წთ.
6. ინკუბაცია პირველად ანტისხეულებში (GFAP, Ki67, EMA, CK5/6) – 1 საათი. Zytomed system გამრეცხი ბუფერი 3x2 წთ.
7. მეორადი ანტისხეული (Zytochem plus HRP-kit) – 15 წთ. გამრეცხი ბუფერი –3x2 წთ.
8. სტრეპტავიდინის კონიუგატი (Zytochem plus HRP-kit) – 15 წთ. გარეცხვა გამდინარე წყლის ქვეშ – 3წთ. ჰემატოქსილინი -8-10წმ.

გარეცხვა გამდინარე წყლის ქვეშ – 2წთ.

დეჰიდრატაცია – 70,85,95,100 გრადუსიან სპირტებში x 2 წთ.

9. ქსილოლი – 2 x 5 წთ

10. საფარი მინის დაკვრა.

მიკროსკოპულ პრეპარატებს ვიკვლევდით სინათლის მიკროსკოპით “Balplan” (ჰალოგენური განათებით) სხვადასხვა გადიდებით (200–400). სიმსივნეების ავთვისებიანობის ხარისხს ვსაზღვრავდით ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ 2007 წელს მოწოდებული კლასიფიკაციით.

ინტრაკრანიალური სიმსივნეების ბიოლოგიური „ქცევის“ გერონტოლოგიური ასპექტის შესასწავლად ავადმყოფები დავყავით მოსკოვის VII საერთაშორისო სიმპოზიუმზე მიღებული ადამიანის ონტოგენეზის ასაკობრივი პერიოდიზაციის სქემის მიხედვით: ჭაბუკობის ასაკი – 17-21 წლის მამაკაცები და 16-20 წლის ქალები; მოწიფულობის I პერიოდი – 22-35 წლის მამაკაცები და 21-35 წლის ქალები; მოწიფულობის II პერიოდი – 36-60 წლის მამაკაცები და 36-55 წლის ქალები; ხანადუმული ასაკი 61-74 წლის მამაკაცები და 56-74 წლის ქალები.

ასაკობრივი ვარიაბელობის დადგენის მიზნით გამოვყავით 6 ჯგუფი: 30 წლამდე – I ჯგუფი; 30-39წ.წ. – II ჯგუფი; 40-49 წ.წ. – III ჯგუფი; 50-59 წ.წ. – IV ჯგუფი; 60-69 წ.წ. – V ჯგუფი; 70 წელი და მეტი – VI ჯგუფი.

შესწავლილ იქნა ინტრაკრანიალური სიმსივნეების და მათი მორეციდივე ფორმების განაწილება ზემოთაღნიშნულ ჯგუფებში ჰისტოლოგიური ტიპების სიხშირის, სქესის და ასაკის მიხედვით.

ყველა შემთხვევაში ჩატარებულია თავის ტვინის მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია T1flair, T2tse, T2flair, DWI, dADC-DWI, T1-FFE რეჟიმებით აქსიალური, საგიტალური, კორონარული ჭრილებით, კონტრასტული გაძლიერებით (Magnevist საშუალოდ 15მლ). საჭიროების შემთხვევაში ტარდებოდა ინტრა და ექსტრაკრანიალური სისხლძარღვების მრ ანგიოგრაფია (Ven-3D-PCA, 3DI-MC-HR).

მიღებული მონაცემები დამუშავდა მათემატიკური სტატისტიკის
კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის – SPSS-21 გამოყენებით. სიხშირეთა
განაწილებას შორის განსხვავების სტატისტიკური სანდოობის შესამოწმებლად
გამოყენებულ იქნა პირსონის χ^2 -კვადრატ-კრიტერიუმი(იხ. დანართი.)

კვლევის შედეგები და მათი განსჯა

ინტრაკრანიალური სიმსივნეების
ეპიდემიოლოგია

ინტრაკრანიული სიმსივნეების განაწილება ავთვისებიანობის ხარისხის მიხედვით

სიმსივნე	ქალები	მამაკაცები	სულ	%
ავთვისებიანობის პირველი ხარისხის	67	20	87	39,7
ავთვისებიანობის მეორე ხარისხის	12	12	24	10,9
ავთვისებიანობის მესამე ხარისხის	17	16	33	15,0
ავთვისებიანობის მეოთხე ხარისხის	16	24	40	18,2
რეციდივული	8	7	15	6,8
მეტასტაზური	2	10	12	5,4
სხვადასხვა	6	2	8	3,6
სულ ერთად	128	91	219	100,0

ავთვისებიანობის პირველი ხარისხის სიმსივნეები

სიმსივნე	ასაკობრივი ჯგუფები														სულ
	ქალები							მამაკაცები							
	30 წ-მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	30 წ-მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	
პოლიციტური ასტროციტომა	-	-	1	1	1	-	3	-	-	1	-	-	-	1	4
სუბეპენდიომა	-	-	1	-	1	-	2	-	-	-	-	-	-	-	2
განგლიოგლიომა	1	-	1	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-	2
ნევრონომა	1	-	1	3	2	1	8	-	-	2	-	-	-	2	10
მენინგოთელიომური მენინგიომა	-	-	3	1	2	-	6	-	1	5	1	1	-	8	14
ფიბროზული მენინგიომა	-	-	2	2	1	1	6	-	-	-	-	-	-	-	6
გარდამავალი მენინგიომა	2	3	6	6	4	1	22	-	-	-	2	-	-	2	24
ფსამომური მენინგიომა	-	-	2	-	1	-	3	-	-	-	-	-	-	-	3
ანგიომური მენინგიომა	-	-	1	-	-	-	1	-	-	1	-	-	-	1	2
ჰემანგიობლასტომა	1	1	-	-	-	-	2	-	1	-	1	-	-	2	4
კავერნული ანგიომა	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	1	1
მწიფე ტერატომა	1	-	-	1	-	-	2	-	-	-	-	-	-	-	2
ჰიპოფიზის ადენომა	2	2	2	1	2	1	10	1	1	-	1	-	-	3	13
სულ ერთად	8	6	20	15	14	4	67	1	3	10	5	1	-	20	87

ავთვისებიანობის მეორე ხარისხის სიმსივნეები

სიმსივნე	ასაკობრივი ჯგუფები														სულ
	ქალები							მამაკაცები							
	30 წ- მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	30 წ- მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	
ფიბრილური ასტროციტომა	1	-	1	-	1	-	3	2	-	-	1	-	-	3	6
ოლიგოდენდროგლიომა	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	1	1
ოლიგოასტროციტომა	1	2	-	-	-	-	3	-	-	1	1	1	-	3	6
ატოპური მენინგიომა	-	1	1	1	1	2	6	-	-	1	1	2	1	5	11
სულ ერთად	2	3	2	1	2	2	12	2	-	3	3	3	1	12	24

ავთვისებიანობის მესამე ხარისხის სიმსივნეები

სიმსივნე	ასაკობრივი ჯგუფები														სულ
	ქალები							მამაკაცები							
	30 წ- მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	30 წ- მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	
ანაპლაზიური ასტროციტომა	1	-	-	1	2	-	4	-	1	1	1	2	1	6	10
ანაპლაზიური ოლიგოდენდროგლიომა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	1	1
ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომა	-	-	1	-	2	-	3	-	-	-	1	1	-	2	5
ანაპლაზიური ეპენდიმომა	1	-	-	-	1	-	2	-	-	-	-	-	-	-	2
ანაპლაზიური მენინგიომა	-	-	1	2	3	-	6	-	1	1	1	2	-	5	11
ქორიოიდკარცინომა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	1	1
ანაპლაზიური ჰემანგიოენდოთელიომა	-	-	-	-	1	-	1	-	-	-	-	-	-	-	1
ანგიოსარკომა	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	1	1
ჰერმინომა	-	-	1	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	1
სულ ერთად	2	-	3	3	9	-	17	-	3	2	5	5	1	16	33

ავთვისებიანობის მეოთხე ხარისხის სიმსივნეები

სიმსივნე	ასაკობრივი ჯგუფები														სულ
	ქალები							მამაკაცები							
	30 წ-მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	30 წ-მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	
გლიობლასტომა	1	1	1	7	5	1	16	1	1	4	6	6	1	19	35
მედულობლასტომა	-	-	-	-	-	-	-	2	-	-	-	-	-	2	2
პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე	-	-	-	-	-	-	-	1	1	-	-	-	-	2	2
მელანომა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	1	1
სულ ერთად	1	1	1	7	5	1	16	4	2	4	6	6	2	24	40

რეგიდვიული სიმსივნეები

სიმსივნე	ასაკობრივი ჯგუფები														სულ
	ქალები							მამაკაცები							
	30 წ-მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	30 წ-მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	
მენინგოთელიომური მენინგიომა	-	-	2	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-	2
გარდამავალი მენინგიომა	1	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	1
ატიპური მენინგიომა	-	-	-	-	1	1	2	-	-	-	-	-	-	-	2
ანაპლაზიური ასტროციტომა	-	-	-	1	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	1
ანაპლაზიური ოლიგოდენდროციტომა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	1	1
ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	1	1
ანაპლაზიური ეპენდიმომა	1	-	-	-	1	-	2	-	-	-	-	-	-	-	2
გლიოზლასტომა	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	1	1	-	3	3
ქორიოიდკარცინომა	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	1	1
პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	1	1
სულ ერთად	2	-	2	1	2	1	8	1	-	2	3	1	-	7	15

მეტასტაზური სიმსივნეები

პირველადი სიმსივნე	ასაკობრივი ჯგუფები														სულ
	ქალები							მამაკაცები							
	30 წ- მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	30 წ- მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	
სარძევე ჯირკვლის კარცინომა	-	-	-	2	-	-	2	-	-	-	-	-	-	-	2
ფილტვის კარცინომა	-	-	-	-	-	-	-	-	2	1	3	2	-	8	8
თირკმელის კარცინომა	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	1	-	2	2
სულ ერთად	-	-	-	2	-	-	2	-	3	1	3	3	-	10	12

Varia

პათოლოგია	ასაკობრივი ჯგუფები														სულ
	ქალები							მამაკაცები							
	30 წ- მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	30 წ- მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წ და მეტი	სულ	
ეოზინოფილური გრანულომა	-	-	-	1	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	1
ასტერიულ-ვენური მალფორმაცია	1	-	-	1	-	-	2	-	-	-	1	-	-	1	3
ქოლესტეატომა	1	-	-	-	2	-	3	-	-	-	1	-	-	1	4
სულ ერთად	2	-	-	2	2	-	6	-	-	-	2	-	-	2	8

ავთვისებიანობის პირველი ხარისხის სიმსივნეები

ჩვენს მასალაზე ავთვისებიანობის პირველი ხარისხის ინტრაკრანიული სიმსივნეები დადგენილია 87 შემთხვევაში, რაც მთელი მასალის 39,5%-ს შეადგენს. შემთხვევათა უმრავლესობა გამოვლინდა ქალებში – 67 შემთხვევა, რაც 3-ჯერ უფრო მეტად აჭარბებს ავადმყოფი მამაკაცების რაოდენობას (შესაბამისად 20 შემთხვევა). ავთვისებიანობის პირველი ხარისხის სიმსივნეების ჰისტოგენეზის მიხედვით საკუთარი მასალის ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა: პილოციტური ასტროციტომა – 4 შემთხვევა (3 ქალი, 1 მამაკაცი), სუბეპენდიმომა – 2 შემთხვევა (ქალები), განგლიოგლიომა – 2 შემთხვევა (ქალები), ნევრინომა 10 შემთხვევა (8-ქალი, 2- მამაკაცი), მენინგოთელური მენინგიომა – 14 შემთხვევა (6-ქალი, 8- მამაკაცი), ფიბროზული მენინგიომა 6- შემთხვევა (ქალები), გარდამავალი მენინგიომა 24 შემთხვევა (22 ქალი, 2 მამაკაცი), ფსამომური მენინგიომა – 3 შემთხვევა (ქალები), ანგიომური მენინგიომა – 2 შემთხვევა (1 ქალი და 1 მამაკაცი), ჰემანგიობლასტომა – 4 შემთხვევა (2 ქალი, 2 მამაკაცი), კავერნული ანგიომა – 1 შემთხვევა (მამაკაცი), მწიფე ტერატომა – 2 შემთხვევა (ქალები) და ჰიპოფიზის ადენომა – 13 შემთხვევა (10 ქალი, 3 მამაკაცი).

ასაკის და სქესის მიხედვით ავთვისებიანობის პირველი ხარისხის სიმსივნეების განაწილება მოცემულია ცხრილში.

ასაკი							
სქესი	30 წლამდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წელი და მეტი	სულ
ქალი	8	6	20	15	14	4	67
მამაკაცი	1	3	10	5	1	-	20
სულ	9	9	30	20	15	4	87
ერთად							

ავთვისებიანობის მეორე ხარისხის სიმსივნეები

ჩვენს მასალაზე ავთვისებიანობის მეორე ხარისხის სიმსივნეების არსებობა დადგენილ იქნა 24 შემთხვევაში, რაც მთელი მასალის 10,9%-ს შეადგენს. აღნიშნული სიმსივნეები თანაბარი რაოდენობით გამოვლინდა ქალებსა და მამაკაცებში – 12-12 შემთხვევა. ჰისტოგენეზის მიხედვით მასალის ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა:

ფიბრილური ასტროციტომა – 6 შემთხვევა (3 ქალი, 3 მამაკაცი),
 ოლიგოდენდროგლიომა – 1 შემთხვევა (მამაკაცი), ოლიგოასტროციტომა – 6 შემთხვევა (3 ქალი, 3 მამაკაცი), ატიპური მენინგიომა - 11 შემთხვევა (6 ქალი, 5 მამაკაცი).

ასაკისა და სქესის მიხედვით ავთვისებიანობის მეორე ხარისხის სიმსივნეების განაწილება მოცემულია ცხრილში.

ასაკი							
სქესი	30 წლამდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წელი და მეტი	სულ
ქალი	2	3	2	1	2	2	12
მამაკაცი	2	-	3	3	3	1	12
სულ ერთად	4	3	5	4	5	3	24

ავთვისებიანობის მესამე ხარისხის სიმსივნეები

ჩვენს მასალაზე ავთვისებიანობის მესამე ხარისხის სიმსივნეების არსებობა დადგენილ იქნა - 33 შემთხვევაში, რაც მთელი მასალის 15,0%-ს შეადგენს. ავადმყოფებიდან ქალი იყო 17, ხოლო მამაკაცი - 16. ჰისტოგენეზის მიხედვით მასალის ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა:

ანაპლაზიური ასტროციტომა - 10 შემთხვევა (4 ქალი, 6 მამაკაცი),
 ანაპლაზიური ოლიგოდენდროგლიომა - 1 შემთხვევა (მამაკაცი), ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომა - 5 შემთხვევა (3 ქალი, 2 მამაკაცი), ანაპლაზიური ეპენდიმომა - 2 შემთხვევა (ქალები), ანაპლაზიური მენინგიომა - 11 შემთხვევა (6 ქალი, 5 მამაკაცი), ქორიოიდკარცინომა - 1 შემთხვევა (მამაკაცი), ანაპლაზიური ჰემანგიოენდოთელიომა - 1 შემთხვევა (ქალი), ანგიოსარკომა - 1 შემთხვევა (მამაკაცი) და ჰერმინომა - 1 შემთხვევა (ქალი).

ასაკის და სქესის მიხედვით ავთვისებიანობის მესამე ხარისხის სიმსივნეების განაწილება მოცემულია ცხრილში:

ასაკი							
სქესი	30 წლამდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წელი და მეტი	სულ
ქალი	2	-	3	3	9	-	17
მამაკაცი	-	3	2	5	5	1	16
სულ ერთად	2	3	5	8	14	1	33

ავთვისებიანობის მეოთხე ხარისხის სიმსივნეები

ჩვენს მასალაზე ათვისებიანობის მეოთხე ხარისხის სიმსივნეების არსებობა დადგენილ იქნა - 40 შემთხვევაში, რაც მთელი მასალის 18,2%-ს შეადგენს. ავადმყოფებიდან ქალი იყო 16, ხოლო მამაკაცი - 24. ჰისტოგენეზის მიხედვით მასალის ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა: გლიობლასტომა - 35 შემთხვევა (16 ქალი, 19 მამაკაცი), მედულობლასტომა- 2 შემთხვევა (მამაკაცი), პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე - შემთხვევა (მამაკაცი) და მელანომა- 1 შემთხვევა (მამაკაცი).

ასაკის და სქესის მიხედვით ათვისებიანობის მეოთხე ხარისხის სიმსივნეების განაწილება მოცემულია ცხრილში:

ასაკი							
სქესი	30 წლამდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წელი და მეტი	სულ
ქალი	1	1	1	7	5	1	16
მამაკაცი	4	2	4	6	6	2	24
სულ ერთად	5	3	5	13	11	3	40

რეციდივული სიმსივნეები

ჩვენს მასალაზე რეციდივული სიმსივნეების არსებობა დადგენილ იქნა - 15 შემთხვევაში, რაც მთელი მასალის 6,8%-ს შეადგენს. ინტრაკრანიული სიმსივნეების რეციდივები ავადმყოფ ქალებსა და მამაკაცებში თითქმის თანაბარი რაოდენობით (შესაბამისად 8 და 7 შემთხვევა) გამოვლინდა. რეციდივული სიმსივნეების ჰისტოგენეზის მიხედვით მასალის ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა: მენინგოთელური მენინგიომა – 2 შემთხვევა (ორივე ქალი), გარდამავალი მენინგიომა – 1 შემთხვევა (ქალი), ატიპური მენინგიომა – 2 (ქალები), ანაპლაზიური ასტროციტომა -1 (ქალი), ანაპლაზიური ოლიგოდენდროგლიომა 1 (მამაკაცი), ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომა – 1 (მამაკაცი), ანაპლაზიური ეპენდიმომა- 2 (ორივე ქალი), გლიობლასტომა - 3 (მამაკაცები), ქორიოიდკარცინომა – 1 (მამაკაცი), პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე – 1 (მამაკაცი).

ასაკის და სქესის მიხედვით რეციდივული სიმსივნეების განაწილება მოცემულია ცხრილში:

ასაკი							
სქესი	30 წლამდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წელი და მეტი	სულ
ქალი	2	-	2	1	2	1	8
მამაკაცი	1	-	2	3	1	-	7
სულ ერთად	3	-	4	4	3	1	15

მეტასტაზური სიმსივნეები

ჩვენს მასალაზე მეტასტაზური სიმსივნეები გამოვლინდა - 12 შემთხვევაში (2 ქალი და 10 მამაკაცი), რაც მთელი მასალის 5,4%-ს შეადგენს. მამაკაცებში, ქალებთან შედარებით, თავის ტვინის მეტასტაზური სიმსივნეები გაცილებით უფრო ხშირია (5-ჯერ). ქალებში, ორივე შემთხვევაში აღინიშნებოდა სარძევე ჯირკვლის კარცინომის მეტასტაზი, ხოლო მამაკაცებში 8 შემთხვევაში ფილტვის და 2 შემთხვევაში თირკმლის კარცინომის მეტასტაზი.

ასაკის და სქესის მიხედვით მეტასტაზური სიმსივნეების განაწილება მოცემულია ცხრილში:

ასაკი							
სქესი	30 წლამდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წელი და მეტი	სულ
ქალი	-	-	-	2	-	-	2
მამაკაცი	-	3	1	3	3	-	10
სულ ერთად	-	3	1	5	3	-	12

როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, თავის ტვინის მეტასტაზური სიმსივნეები უფრო ხშირია მეოთხე და მეხუთე ასაკობრივ ჯგუფებში.

ინტრაკრანიული სხვადასხვა პათოლოგია

Varia

ჩვენს მასალაზე ინტრაკრანიული სხვადასხვა (Varia) პათოლოგიის არსებობა დადგენილ იქნა - 8 შემთხვევაში, რაც მთელი მასალის 3,6%-ს შეადგენს. ინტრაკრანიული სხვადასხვა პათოლოგიის 8 შემთხვევიდან 6 გამოვლინდა ქალებში, ხოლო 2- მამაკაცებში. პისტოგენუზის მიხედვით მასალის ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა: ეოზინოფილური გრანულომა – 1 შემთხვევა (ქალი), არტერიულ – ვენური მალფორმაცია – 3 შემთხვევა (2 ქალი, 1 მამაკაცი) და ქოლესტეატომა – 4 შემთხვევა (3 ქალი, 1 მამაკაცი).

ასაკის და სქესის მიხედვით სხვადასხვა პათოლოგიის განაწილება მოცემულია ცხრილში:

ასაკი							
სქესი	30 წლამდე	30-39	40-49	50-59	60-69	70 წელი და მეტი	სულ
ქალი	2	-	-	2	2	-	6
მამაკაცი	-	-	-	2	-	-	2
სულ ერთად	2	-	-	4	2	-	8

როგორც საკუთარი მასალის ანალიზმა ცხადჰყო, 219 ავადმყოფიდან ქალი იყო 128 (58,4%), ხოლო მამაკაცი - 91 (41,5%). ავთვისებიანობის პირველი ხარისხის სიმსივნეები (პილოციტური ასტროციტომა, სუბეპენდიმომა, განგლიოგლიომა, ნევრინომა, მენინგოთელიომური მენინგიომა, ფიბროზული მენინგიომა, გარდამავალი მენინგიომა, ფსამომური მენინგიომა, ჰემანგიობლასტომა, კავერნული ანგიომა, მწიფე ტერატომა, ჰიპოფიზის ადენომა) გამოვლინდა 87 შემთხვევაში (39,7%). ავადმყოფობებს შორის ქალი იყო 67, ხოლო მამაკაცი - 20; ავთვისებიანობის მეორე ხარისხის სიმსივნეები (ფიბრილური ასტროციტომა, ოლიგოდენდროგლიომა, ოლიგოასტროციტომა, ატიპური მენინგიომა) გამოვლინდა 24 შემთხვევაში - 10,9% (12 ქალი, 12 მამაკაცი); ავთვისებიანობის მესამე ხარისხის სიმსივნეები (ანაპლაზიური ასტროციტომა, ანაპლაზიური ოლიგოდენდროგლიომა, ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომა, ანაპლაზიური ეპენდიმომა, ანაპლაზიური მენინგიომა, ქორიოიდკარცინომა, ანაპლაზიური ჰემანგიოენდოთელიომა, ანგიოსარკომა, ჰერმინომა) 33 შემთხვევაში - 15,0% (17 ქალი, 16 მამაკაცი); ავთვისებიანობის მეოთხე ხარისხის სიმსივნეები. (გლიობლასტომა, მედულობლასტომა, პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე, მელანომა) 40 შემთხვევაში - 18,2%. (ქალი 16, მამაკაცი 24); რეციდივული სიმსივნეები (მენინგოთელიომური მენინგიომა, გარდამავალი მენინგიომა, ატიპური მენინგიომა, ანაპლაზიური ასტროციტომა, ანაპლაზიური ოლიგოდენდროგლიომა, ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომა, ანაპლაზიური ეპენდიმომა, გლიობლასტომა, ქორიოიდკარცინომა, პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე) 15 შემთხვევაში - 6,8% (ქალი 7, მამაკაცი 8); მეტასტაზური სიმსივნეები (სარძევე ჯირკვლის კარცინომა, ფილტვის კარცინომა, თირკმლის კარცინომა) 12 შემთხვევაში - 5,4% (2 ქალი, 10 მამაკაცი); სხვადასხვა პათოლოგია (ეოზინოფილური გრანულომა, არტერიულ - ვენური მალფორმაცია, ქოლესტეატომა) 8 შემთხვევაში - 3,6% (6 ქალი, 2 მამაკაცი).

ამრიგად, ჩვენს მასალაზე შემთხვევათა უმრავლესობაში (39,7%) გამოვლინდა ავთვისებიანობის პირველი ხარისხის ინტრაკრანიალური

სიმსივნეები. ამასთანავე, მათ შორის მნიშვნელოვნად ჭარბობს თავის ტვინის გარსების სიმსივნეები (სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის მენინგიომა). აღსანიშნავია, რომ ავადმყოფებს შორის ქალების რაოდენობა 3,5 - ჯერ ჭარბობს მამაკაცების რაოდენობას. ხსენებული სიმსივნეები ქალებში ძირითადად გამოვლინდა მესამე, მეოთხე და მეხუთე, ხოლო მამაკაცებში მესამე ასაკობრივ ჯგუფებში. ავთვისებიანობის პირველი ხარისხის სიმსივნეებს შორის მეორე და მესამე ადგილები უკავია ჰიპოფიზის ადენომას (13 შემთხვევა) და ნევრინომას (10 შემთხვევა). ნეიროეპითელური სიმსივნეები (პილოციტური ასტროციტომა, სუბეპენდიმომა, განგლიოგლიომა) წარმოდგენილია სულ 8 შემთხვევით.

ავთვისებიანობის მეორე ხარისხის სიმსივნეებს შორის პრევალირებს ნეიროეპითელური სიმსივნეები(ფიბრილური ასტროციტომა, ოლიგოდენდროგლიომა და ოლიგოასტროციტომა) - 13 შემთხვევა , მეორე ადგილზეა ატიპური მენინგიომა (11 შემთხვევა). ავადმყოფთა სქესისა და ასაკის მიხედვით მასალის ანალიზით არსებითი განსხვავება არ გამოვლინდა. ასევე პრევალირებს ნეიროეპითელური სიმსივნეები (ანაპლაზიური ასტროციტომა, ანაპლაზიური ოლიგოდენდროგლიომა, ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომა, ანაპლაზიური ეპენდიმომა) ავთვისებიანობის მესამე ხარისხის სიმსივნეებს შორის (18 შემთხვევა). მეორე ადგილზეა ანაპლაზიური მენინგიომა (11 შემთხვევა). ამ ჯგუფში გამოვლინდა აგრეთვე ქორიოდეკარცინომის, ანგიოსარკომის, ანაპლაზიური ჰემანგიოენდოთელიომის და ჰერმინომის თითო შემთხვევა. ისევე, როგორც ავთვისებიანობის მეორე ხარისხის სიმსივნეების ჯგუფში, მესამე ჯგუფშიც ავადმყოფთა სქესისა და ასაკის მიხედვით არსებითი განსხვავება არ გამოვლინდა.

ავთვისებიანობის მეოთხე ხარისხის სიმსივნეების აბსოლუტური უმრავლესობა (40 - დან 35 შემთხვევა) წარმოდგენილია გლიობლასტომით . ავადმყოფებს შორის უმნიშვნელოდ ჭარბობენ მამაკაცები, ხოლო ასაკი ორივე სქესისათვის მერყეობს 50 - დან 69 წლამდე.

როგორც აღნიშნული იყო, რეციდივული სიმსივნეები გამოვლინდა 15 შემთხვევაში (6,8%), თითქმის თანაბარი რაოდენობით ქალებსა და მამაკაცებში. რეციდივულ სიმსივნეებს შორის ჭარბობს ავთვისებიანობის მესამე და მეოთხე ხარისხის ნეიროეპითელური სიმსივნეები (ანაპლაზიური ასტროციტომა, ანაპლაზიური ოლიგოდენდროგლიომა, ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომა, ანაპლაზიური ეპენდიმომა, გლიობლასტომა, ქორიოიდკარცინომა, პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე) - 15 - დან 10 შემთხვევა. 5 შემთხვევაში, მხოლოდ ქალებში, გამოვლინდა სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის (მენინგოთელიომური, გარდამავალი, ატიპური) მენინგიომის რეციდივი. რეციდივული სიმსივნეებით ავადმყოფთა ასაკი ძირითადად მერყეობდა 40 - დან 59 წლამდე.

მეტასტაზური სიმსივნეების (5,4%) აბსოლუტური უმრავლესობა (12 - დან 10 შემთხვევა) გამოვლინდა 30 - დან 69 წლამდე მამაკაცებში. ამასთანავე, 8 შემთხვევაში პირველად სიმსივნეს წარმოადგენდა ფილტვის, ხოლო 2 შემთხვევაში თირკმელის კარცინომა. ქალებში (2 შემთხვევა) პირველადი სიმსივნე აღინიშნებოდა სარძევე ჯირკვალში.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები საფუძველს იძლევა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1) საქართველოს რეგიონში ინტრაკრანიალური სიმსივნეები ქალებში, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ხშირია (16,9% - ით).

2) ინტრაკრანიალური სიმსივნეების საერთო პანორამაში მნიშვნელოვნად ჭარბობს ავთვისებიანობის პირველი ხარისხის სიმსივნეები (39,7%), რომელთა უმრავლესობა წარმოდგენილია მენინგიომის სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპით.

3) სიხშირის მიხედვით (18,2%) მეორე ადგილზეა ავთვისებიანობის მეოთხე ხარისხის სიმსივნეები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოდგენილია გლიობლასტომით. ამასთანავე, მამაკაცების რაოდენობა უმნიშვნელოდ ჭარბობს ქალების რაოდენობას.

4) მეტასტაზური სიმსივნეები მამაკაცებში 5 - ჯერ უფრო ხშირია, ქალებთან შედარებით. შემთხვევათა უმრავლესობაში პირველად სიმსივნეს წარმოადგენს ფილტვის კარცინომა.

ინტრაკრანიალური სიმსივნეების კლინიკური
და მორფოლოგიური დიანოსტიკა

კლინიკური და მორფოლოგიური დიაგნოზების შედარება

კლინიკური დიაგნოზი	მორფოლოგიური დიაგნოზი	შემთხვევათა რაოდენობა
ინტრაკრანიალური სიმსივნე	ასტროციტომა	8
	ოლიგოდენდროგლიომა	3
	ოლიგოასტროციტომა	4
	ეპენდიმომა	2
	სუბეპენდიმომა	2
	განგლიოგლიომა	2
	გლიობლასტომა	16
	მედულობლასტომა	2
	პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე	2
	მენინგიომა	6
	მელანომა	1
	ჰემანგიობლასტომა	3

	ანგიოსარკომა	1
	ჰერმინომა	1
	ქორიოდკარცინომა	2
	მწიფე ტერატომა	2
	ქოლესტექტომა	1
	მეტასტაზი	4
	სულ	62

კლინიკური და მორფოლოგიური დიაგნოზების შედარება

კლინიკური დიაგნოზი	მორფოლოგიური დიაგნოზი	შემთხვევათა რაოდენობა
ასტროციტომა	ასტროციტომა	10
	ოლიგოასტროციტომა	2
	ეპენდიმომა	1
	გლიოზლასტომა	3
	სულ	16
ოლიგოდენდროგლიომა	ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომა	1
	სულ	1
ანაპლაზიური ოლიგოდენდროგლიომა	პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე	1
	სულ	1
ეპენდიმომა	ეპენდიმომა	1
	ნევრინომა	1

ავტორის სტილი დაცულია

	სულ	2
გლიობლასტომა	გლიობლასტომა	18
	ასტროციტომა	3
	ოლიგოასტროციტომა	4
	მეტასტაზი	2
	სულ	27

კლინიკური და მორფოლოგიური დიაგნოზების შედარება

კლინიკური დიაგნოზი	მორფოლოგიური დიაგნოზი	შემთხვევათა რაოდენობა
ნევრინომა	ნევრინომა	8
	სულ	8
მენინგიომა	მენინგიომა	70
	ოლიგოასტროციტომა	1
	გლიობლასტომა	1
	ნევრინომა	1
	ეოზინოფილური გრანულომა	1
	მეტასტაზი	2
	სულ	76
ჰემანგიომა	ჰემანგიომა	1
	სულ	1
ჰემანგიობლასტომა	ჰემანგიობლასტომა	1

ავტორის სტილი დაცულია

	ჰემანგიოენდოთელიომა	1
	სულ	2
ჰიპოფიზის ადენომა	ჰიპოფიზის ადენომა	13
	ქოლესტექტომა	1
	სულ	14

კლინიკური და მორფოლოგიური დიაგნოზების შედარება

კლინიკური დიაგნოზი	მორფოლოგიური დიაგნოზი	შემთხვევათა რაოდენობა
ქოლესტეატომა	ქოლესტეატომა	2
	სულ	2
არტერიულ-ვენური მალფორმაცია	არტერიულ-ვენური მალფორმაცია	3
	სულ	3
მეტასტაზი	მეტასტაზი	4
	სულ	4
	სულ ერთად	219

როგორც საკუთარმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, კლინიკური და მორფოლოგიური დიაგნოზების სრული დამთხვევა გამოვლინდა 219 შემთხვევიდან 131 შემთხვევაში, რაც შეადგენს 59,8%-ს. დანარჩენი 88 შემთხვევიდან 62 შემთხვევაში კლინიკურ დიაგნოზში მითითებული იყო ზოგადად ინტრაკრანიალური სიმსივნის არსებობა, ხოლო ოპერაციული მასალის მორფოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე 43 შემთხვევაში გამოვლინდა ნეირო-ეპითელიური სიმსივნეები (ასტროციტომა (8), ოლიგოდენდროგლიომა (3), ოლიგოასტროციტომა (4), ეპენდიმომა (2), სუბეპენდიმომა (2), განგლიოგლიომა (2), გლიობლასტომა (16), მედულობლასტომა (2), პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე (2), ქორიოიდკარცინომა (2), ხოლო 15 შემთხვევაში გარსების სიმსივნეები (მენინგიომა (6), ანგიოსარკომა (1), ჰემანგიობლასტომა (3), მელანომა (1), ჰერმინომა (1), მწიფე ტერატომა (2), ქოლესტეატომა (1)). 4 შემთხვევაში გამოვლინდა კარცინომის მეტასტაზი.

დიაგნოზთა სხვაობის 26 შემთხვევაში კლინიკურ დიაგნოზში აღნიშნული იყო ინტრაკრანიალური სიმსივნის ჰისტოგენეზი, რაც მორფოლოგიურად არ დადასტურდა. კერძოდ, კლინიკურად დიაგნოზირებული ასტროციტომის 16 შემთხვევიდან 2 შემთხვევაში მორფოლოგიურად გამოვლინდა ოლიგოასტროციტომა, 1 შემთხვევაში ეპენდიმომა და 3 შემთხვევაში გლიობლასტომა – სულ სხვაობის 6 შემთხვევა. კლინიკურად ვერიფიცირებული ოლიგოდენდროგლიომისა და ანაპლაზიური ოლიგოდენდროგლიომის თითო შემთხვევიდან მორფოლოგიურად შესაბამისად დადგენილ იქნა ანაპლაზიური ოლიგოასტროციტომისა და პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნის არსებობა. კლინიკურად ეპენდიმომის 2 შემთხვევიდან ერთ შემთხვევაში გამოვლინდა ნევრინომა. კლინიკურად ვერიფიცირებული გლიობლასტომის 27 შემთხვევიდან მორფოლოგიურად დიაგნოზი დადასტურდა 18 შემთხვევაში, დანარჩენ 9 შემთხვევაში გამოვლინდა ასტროციტომა (3), ოლიგოასტროციტომა (4) და კარცინომის მეტასტაზი (2). კლინიკურად ვერიფიცირებული მენინგიომის 76 შემთხვევიდან თითო შემთხვევაში გამოვლინდა ოლიგოასტროციტომა,

გლიობლასტომა, ნევრინომა, ეოზინოფილური გრანულომა და ორ შემთხვევაში კიბოს მეტასტაზი. კლინიკურად ჰემანგიოზღვასტომის 2 შემთხვევიდან ერთ შემთხვევაში გამოვლინდა ჰემანგიოენდოთელიომა, ასევე ჰიპოფიზის ადენომის 14 შემთხვევიდან 1 შემთხვევაში ქოლესტეატომა.

ამრიგად, ჩვენს მიერ გამოკვლეული ინტრაკრანიალური სიმსივნეების 219 შემთხვევიდან 88 (40,1%) შემთხვევაში გამოვლინდა კლინიკური და მორფოლოგიური დიაგნოზების სხვაობა. მიღებული მონაცემების სრული შესაბამისობის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა ნევრინომის (100,0%), ჰიპოფიზის ადენომის (92,8%), მენინგიომის (92,1%), ხოლო საშუალო - გლიობლასტომის (66,6%) და ასტროციტომის (62,5%) არსებობისას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ინტრაკრანიალური სიმსივნეებით ავადმყოფების ოპერაციამდელი გამოკვლევის კომპლექსში აუცილებელია სტერეოტაქსიური ბიოფსიის ჩართვა, რომლის მონაცემები შემთხვევათა უმრავლესობაში განაპირობებს პროცესის ვერიფიკაციას, რაც თავის მხრივ მკურნალობის ოპტიმალური ტაქტიკის შემუშავების საფუძველი იქნება.

კვლევის შედეგები საფუძველს იძლევა გამოტანილი იქნას შემდეგი დასკვნები:

1. ინტრაკრანიალური სიმსივნეების დროს კლინიკური და ოპერაციული მასალის მორფოლოგიური გამოკვლევების შედეგების შესაბამისობის მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება ნევრინომის (100,0%), ჰიპოფიზის ადენომის (92,8%), მენინგიომის (92,1%), ხოლო საშუალო მაჩვენებლები – გლიობლასტომის (66,6%) და ასტროციტომის (62,5%) შემთხვევებში.
2. ინტრაკრანიალური სიმსივნეების ჰისტოგენეზის, სიმწიფის ხარისხის, შესაბამისად მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით მიზანშეწონილია სტერეოტაქსიური ბიოფსიის წარმოება.

დასკვნები:

- 1) საქართველოს რეგიონში ინტრაკრანიალური სიმსივნეები ქალებში, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ხშირია (16,9% - ით).
- 2) ინტრაკრანიალური სიმსივნეების საერთო პანორამაში მნიშვნელოვნად ჭარბობს ავთვისებიანობის პირველი ხარისხის სიმსივნეები (39,7%), რომელთა უმრავლესობა წარმოდგენილია მენინგიომის სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპით.
- 3) სიხშირის მიხედვით (18,2%) მეორე ადგილზეა ავთვისებიანობის მეოთხე ხარისხის სიმსივნეები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოდგენილია გლიობლასტომით. ამასთანავე, მამაკაცების რაოდენობა უმნიშვნელოდ ჭარბობს ქალების რაოდენობას.
- 4) მეტასტაზური სიმსივნეები მამაკაცებში 5 - ჯერ უფრო ხშირია, ქალებთან შედარებით. შემთხვევათა უმრავლესობაში პირველად სიმსივნეს წარმოადგენს ფილტვის კარცინომა.
- 5) ინტრაკრანიალური სიმსივნეების დროს კლინიკური და ოპერაციული მასალის მორფოლოგიური გამოკვლევების შედეგების შესაბამისობის მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება ნევრინომის (100%), ჰიპოფიზის ადენომის (92,8%), მენინგიომის (92,1%), ხოლო საშუალო მაჩვენებლები - გლიობლასტომის (66,6%) და ასტროციტომის (62,5%) შემთხვევებში.

- 6) ინტრაკრანიალური სიმსივნეების ჰისტოგენეზის, სიმწიფის ხარისხის, შესაბამისად მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით მიზანშეწონილია სტერეოტაქსიური ბიოფსიის წარმოება.

Epidemiology of intracranial tumors, clinical and morphological diagnostic.

Summary

According to WHO data the incidence of malignant tumors has significantly increased over the recent years, particularly in developing countries. Prognosis is rather concerning – it is estimated that by 2020 oncological disorders will exceed cardiovascular diseases by incidence and take the first place in the list. Up to 14 million new cases of neoplastic disorders are diagnosed annually worldwide, including up to 7000 cases per year in Georgia.

The literature data about incidence of cerebral and meningeal tumors vary in different countries (Lanthos P.L. et al., 1996; pPathology, 1997; Neuropathology, 1998). For instance, in USA oligodendrogliomas compose 9.4% of primary cerebral tumors in adults and 4.0% in children, respectively. In Russia, the mentioned tumors account for 4 - 5% of primary cerebral tumors (Olyushin V. E., Louis et al., 2005; 2007; Pathology, 2007).

The aim of the study was to investigate the incidence of intracranial tumors in accordance with the patients' age and sex. Post-surgery material taken during the last 5 years was studied, in total – 219 cases. All patients had been operated with excision of intracranial tumors of different locations. Complete clinical-laboratory studies were performed in given cases, including MRI with T1flair, T2tse, T2flair, DWI, dADC-DWI, T1-FFE regimens, in axial, sagittal and coronal sections, with contrast enhancement (Magnevist, average 15 ml.). In some cases per needed, MR angiography of intra- and extracranial vessels was performed (Ven-3D-PCA, 3DI-MC-HR). Neutral 10% formalin solution was used for fixation of post-surgical specimens. The sections were paraffin-embedded.

The sections of 5-6 μm thickness prepared by rotational microtome were stained by Hematoxylin Eosin and Picrofuxin (by Van Gieson). The immunohistochemistry was used in case if needed. The grade of malignancy for tumors was defined according to WHO classification provided in 2007. In order to identify the age variability of patients, we divided the study cohort into 6 groups: I group - > 30 years ; II group – 30 – 39 years; III group – 40 – 49 years; IV group – 50 – 59 years; V group – 60 – 69 years and VI group – 70 years and above.

Distribution of intracranial tumors and their relapsing forms was studied in above mentioned groups, according to their histological patterns, frequency, patients' age and sex. Acquired data were treated statistically.

The material was processed using mathematical statistics, computer software package SPSS – 21. Frequency distribution of the difference between the statistics were used to test the credibility of the Pearson Hi – square criterion.

As demonstrated by the analysis of our material, from 219 patients 128 were females (58.4%) and 91 – males (41.5%). The tumors with first grade of malignancy (pilocytic astrocytoma, subependimoma, ganglioglioma, neurinoma, meningothelial meningioma, fibrous meningioma, transient meningioma, psamomous meningioma, hemangioblastoma, cavernous angioma, matureteratoma, pituitary adenoma) were found in 87 cases (39.7%).

